



ა(ა)იპ - „ადამიანი და ბუნება“

ა(ა)იპ - ”ადამიანი და ბუნება” / საზოგადოებრივი კოლექტი

შინაგანაწესი

1. კოლექტი ახორციელებს პროფესიულ სწავლებას ექთნის თანამშრომლის მესამე საფეხურის, მასაჟისტის მესამე საფეხურის, მასაჟისტის მეოთხე საფეხურისა და პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებელი პროგრამებით;
2. სწავლა კოლექტში იწყება დირექტორის ბრძანებით დაზუსტებულ რიცხვში და ქვეყნდება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ვებ-გვერდზე;
3. სასწავლო პროცესის ხანგრძლივობა და არდადაგები ზუსტდება პროფესიულ სტუდენტთან სწავლის დაწყებამდე დადებულ სასწავლო ხელშეკრულებაში თითოეული საფეხურის შესაბამისად;
4. კოლექტში ხუთდღიანი სასწავლო კვირაა. შაბათი და კვირა დასვენების დღეებია. პროფესიულ სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს ბიბლიოთეკით ასევე შაბათს (ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები განსაზღვრულია ბიბლიოთეკის დებულებით);
5. სწავლა იწყება დილის 10 საათზე, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია კოლექტში გამოცხადდეს სასწავლო პროცესის დაწყებამდე 5 წუთით ადრე. დაგვიანების შემთხვევაში სტუდენტი იღებს სიტყვიერ გაფრთხილებას, ხოლო 3 დაგვიანების შემდეგ კოლექტის ადმინისტრაცია აკეთებს მის წერილობით გაფრთხილებას. დისციპინის რეგულარულ დარღვევაში შენიშნული სტუდენტი ტოვებს კოლექტს;
6. ლექცია-სემინარების გაცდენის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი კოლექტში გამოცხადებისთანავე წარმოადგენს ავადმყოფობის ცნობას, ხოლო სხვა გაუთვალისწინებელ შემთხვევებში (ოჯახური პირობები და სხვა) დამაკმაყოფილებლად ჩაითვლება ადმინისტრაციასთან წერილობითი შეთანხმება (სასურველია წინასწარი). ხანგრძლივი ავადმყოფობის შემთხვევაში შესაძლებელია აკადემიური შვებულების აღება ადმინისტრაციასთან შეთანხმებით-საკითხის ინდივიდუალურად განხილვის შემდეგ;
7. სტუდენტი, რომლის საპატიო და არასაპატიო გაცდენათა ჯამი კონკრეტულ სასწავლო კურსში აღემატება ამ კურსისთვის დათმობილი საათების ჯამური რაოდენობის მესამედს, ვალდებულია აღადგინოს გამოტოვებული მასალა და გაიაროს დამატებითი ტესტირება ადმინისტრაციის მიერ



ა(ა)იპ - „ადამიანი და ბუნება“

დადგენილი სქემით. სხვა შემთხვევაში სტუდენტი ამ სასწავლო კურსში ვერ მიიღებს დადებით შეფასებას. თუ პროფესიული სტუდენტი ერთ ან რამოდენიმე სასწავლო კურსში ვერ მიიღებს დადებით შეფასებას ადმინისტრაციის მიერ დათქმულ დროში ის დატოვებს კოლეჯს.

განსაკუთრებით სიმკაცრეს გამოიჩინეს ადმინისტრაცია პროფესიული სტუდენტის მიმართ სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის სხვადასხვა მიზეზით გაცდენის შემთხვევაში;

8. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრება,
- სამუშაო ჯგუფში მუშაობა,
- პრაქტიკა, მათ შორის სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა,
- დამოუკიდებელი მუშაობა,
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარება.

სწავლების მეთოდი ითვალისწინებს:

- ლექცია – მასალის ახსნა, თეორიულ სწავლება შესაბამისი ლიტერატურით, ან/და სალექციო კურსებით, ან/და საპრეზენტაციო საშუალებების გამოყენებით,
- სამუშაო ჯგუფში მუშაობა – ახსნილი მასალის ირგვლივ კითხვა-პასუხი, დისკუსია, შემთხვევა-მაგალითების განხილვა; პროფესიულ სტუდენტთა დაჯგუფება 3-კაციან ჯგუფებში სადემონსტრაციო ოთახში ფუნქციურ და სამასაჯე საწოლთან სამუშაოდ; პრაქტიკული დავალებების მიცემა ადგილზე შესრულებით ან/და დამოუკიდებლად, მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ,
- პრაქტიკა – თეორიული ცოდნის საფუძველზე პრაქტიკული დავალებების შესრულება; სტაციონარის, შინ მოვლის და ამბულატორიულ პირობებში ექთანი-მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ, მათ შორის სიმულირებულ გარემოში მულაჟებთან, ასევე ჯგუფში მუშაობა როლების განაწილებით,
- დამოუკიდებელი სამუშაო – ახსნილი მასალის, მითითებული სასწავლო მასალიდან, თეორიული ცოდნის გამყარება; შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდისათვის მომზადება. პრაქტიკულ დავალებებზე ვარჯიში დამოუკიდებლად და მცირე ჯგუფებში;

9. პროფესიული სტუდენტის სასწავლო კურსის/ პრაქტიკის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასების მეთოდი:

- დავალების შესრულების ხარისხი (წერილობითი ან/და ზეპირი),
- აქტივობა,
- პრაქტიკული დავალების შესრულება,
- დასწრება,
- ტესტი.

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი,



ა(ა)იპ - „ადამიანი და ბუნება“

- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%,
- (ჩ) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%,
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%,
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება,
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

თუ დამატებით გამოცდაზე პროფესიულმა სტუდენტმა ვერ გადალახა ბარიერი და მიიღო უარყოფითი შეფასება მას:

- ან შეუჩერდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი მომავალი ახალი ჯგუფის დაკომპლექტებამდე,
- ან ინდივიდუალურად გაივლის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რისთვისაც დაეკისრება დამატებით ფინანსური ვალდებულება,
- ან ისარგებლებს მობილობის უფლებით.

პროფესიული სტუდენტი თავად იღებს გადაწყვეტილებას ზემოთ ჩამოთვლილი სამი პირობიდან ერთ-ერთზე.

10. თუ რომელი სასწავლო კურსების დასრულების შემდეგ არის შესაძლებელი დანესებულებაში მობილობით პროფესიული სტუდენტის გადმოსვლა განსაზღვრულია შესაბამისი პროფესიული პროგრამების კატალოგში (იხ. კოლეჯის ვებ. გვერდზე).

ჩარიცხვის პროცედურა დასრულდება კატალოგში ჩამოთვლილი სასწავლო კურსების დანესებამდე 5 სამუშაო დღით ადრე.

მობილობის ზუსტი ვადები განთავსდება დანესებულების ვებ-გვერდზე. განცხადებაში მითითებული იქნება დოკუმენტაციის მიღების წესი და ვადა. წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

- განაცხადი (განაცხადის ფორმა განთავსებულია დანესებულების ვებ-გვერდზე),
- პირადობის მოწმობის ასლი,



ა(ა)იპ - „ადამიანი და ბუნება“

- ერთი ფოტოსურათი 3x4,
- ჩარიცხვის ბრძანება,
- სასწავლო ბარათი (განვლილი სასწავლო კურსების ჩამონათვალი და მოპოვებული კრედიტების რაოდენობა).

მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის წესს წყვეტს სამეთვალყურეო საბჭო ინდივიდუალურად.

მობილობით გადამსვლელობა საყურადღებოდ! გადასვლა შესაძლებელია ნებისმიერ დროს, თუმცა რეკომენდირებულია თითოეული სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ;

11. აუცილებელია პროფესიული სტუდენტის მონაწილეობა კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილ კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში;
12. სხვადასხვა სამკურნალო დაწესებულებაში სანარმოო პრაქტიკის გავლის დროს პროფესიულ სტუდენტს ევალება შესაბამისი დაწესებულების შინაგანაწესის გაცნობა და დაცვა;
13. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია გამოიჩინოს ”თერაპიის სახლის” კოლეჯისათვის განკუთვნილი შენობის ნაწილის მოვლა-მზრუნველობა: მორიგეობით დალაგება - წესრიგის დამყარება, მცენარეებზე და ამ სივრცეში განთავსებულ სხვა ნივთებზე მზრუნველობა, საუბმის შემთხვევაში - ჭურჭლის ალაგება და დასუფთავება;
14. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია კოლეჯის ტერიტორიაზე უცხო ადამიანის გამოჩენის შემთხვევაში დაცვის თანამშრომლისთვის შეტყობინება.
15. პროფესიულ კოლეჯში სწავლის საფასურის გადახდა ხდება ბანკში (სასწავლო ხელშეკრულებაში მითითებულ ანგარიშზე). სწავლის საფასურის გადახდის წესი:

- სწავლის საფასური მესამე საფეხურის მასაჟისტის პროგრამაზე შეადგენს 1800 ლარს (წელიწადში) - სულ 2000 ლარი, მესამე საფეხურის ექთნის თანამშრომლის პროგრამაზე 1500 ლარი (წელიწადში), სულ 2300 ლარი, მასაჟისტი მეოთხე საფეხური-1500ლარი სრული კურსი, პრაქტიკოსი ექთანი მეხუთე საფეხური, წელიწადში 1500ლარი, სულ 4000 ლარი, რომლის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად;

- დასკვნით გამოცდაზე დაშვების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს სწავლის საფასურის სრული დაფარვა.

16. პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში:



ა(ა)იპ - „ადამიანი და ბუნება“

- მას ეძლევა სიტყვიერი გაფრთხილება სამჯერ,
 - სამჯერადი სიტყვიერი გაფრთხილების შემდეგ ეძლევათ წერილობითი გაფრთხილება,
 - წერილობითი გაფრთხილების შემდეგ დათქმულ დროში თანხის არ შეტანის შემთხვევაში ისინი ტოვებენ პროფესიულ კოლეჯს,
 - განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაძლოა სწავლის საფასურის გადახდის ინდივიდუალურ სქემაზე შეთანხმება ადმინისტრაციასთან წინასწარი მოლაპარაკებითა და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებით;
17. პროფესიული კოლეჯის დაცვის სამსახურის თანამშრომელს უფლება აქვს:
- მიუთითოს პროფესიულ სტუდენტს წესრიგის დაცვაზე,
 - ჩამოართვას კოლეჯში აკრძალული ნივთი სასწავლო წლის ბოლომდე,
 - მოითხოვოს პროფესიული სტუდენტისაგან კოლეჯისთვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება;
18. კოლეჯში იკრძალება:
- სწავლის პროცესის მიმდინარეობისას ხმაური,
 - კოლეჯის ტერიტორიის დაბინძურება,
 - მობილური ტელეფონების გამოყენება სასწავლო პროცესის დროს,
 - ხანძარ- ან ფეთქებადსაშიში და ტოქსიკური ნივთიერებების და იარაღის შემოტანა,
 - სიგარეტის მოწევა,
 - ალკოჰოლის შემოტანა,
 - ნებისმიერი სახის გაუგებრობის ძალადობის გზით მოგვარება, ყოველგვარი სახის შეურაცხყოფა,
 - კატეგორიულად მიუღებელია ადამიანის (სტუდენტის, მასწავლებლის, კოლეჯის სხვა თანამშრომლის, მშობლის) ღირსების შელახვა;
19. კოლეჯის შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევაში შესაძლებელია მოხდეს:
- აკრძალული ნივთის ჩამორთმევა,
 - სტუდენტის გარკვეული დროით დათხოვნა კოლეჯიდან,
 - პოლიციასთან დაკავშირება,
 - უკიდურეს შემთხვევაში სტუდენტის გარიცხვა კოლეჯიდან,
 - მასწავლებლის ან კოლეჯის სხვა თანამშრომლის განთავისუფლება დაკავებული თანამდებობიდან;
20. საზოგადოებრივი კოლეჯის ვალდებულებებში შედის:
- დროულად მიაწოდოს პროფესიულ სტუდენტსა და კოლეჯის სხვა თანამშრომლებს მათთვის აუცილებელი ინფორმაცია,



ა(ა)იპ - „ადამიანი და ბუნება“

- აცნობოს მშობელს / მეურვეს სტუდენტის გამოუცხადებლობის შესახებ,
- აცნობოს მშობელს / მეურვეს სტუდენტის კოლექტიდან დათხოვნის შესახებ,
- ინდივიდუალურად მიაწოდოს მშობელს / მეურვეს სტუდენტის შესახებ არსებული ინფორმაცია,
- კონფიდენციალურად შეინახოს თანამშრომლისა და სტუდენტის შესახებ მის ხელთ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია,
- დაიცვას თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა უფლებები.